F-171
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

11

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნოემბერი

თბილისი 1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება № 685

მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში სახელმწიფო სიმბოლოების—ჰიმნის, დროშისა და გერბის როლის გაძლიერების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1977 წ.) პლენუმმა მოიწონა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 მაისის ბრძანებულებით დამტკიცდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია. ახალი სახელმწიფო ჰიმნის შესრულება დაიწყება 1977 წლის 1 სექტემბრიდან ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა სერიოზულ ამოცანებს უყენებს სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლების პეოაგოგიურ კოლექტივებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის სფეროში. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღევანდელ ეტაპზე, როცა მოელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60-წლისათვის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კომუნისტური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების მდიდარ არსენალში, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყენებს, დიდ როლს ასრულებს სიმბოლიკა, ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობის, იდეურ-პოლიტიკური მრწამსის გამომსახველი რეალიები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია საბჭოთა კავშირის ოფიციალური სიმბოლოები: სახელმწიფო ჰიმნი დროშა და გერბი.

სახელმწიფო ჰიმნის ახალმა ტექსტმა და მუსიკალურმა რედაქციამ ნაყოფიერი ზეგავლენა უნდა მოახდინოს მოსწავლის პიროვნების იდეურ-პოლიტიკური, პარტიული, ინტერნაციონალური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის პროცესზე; აამაღლოს მოზარდთა პირადი

მარქსის სახ. სოფ. სსრ
სახელმწიფო საუნივერსიტეტო
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და კოლექტიური პასუხისმგებლობა; განუმტკიცოს მათ პრინციპულობა და სოციალისტური დისციპლინა.

სკოლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ყოველმა პედაგოგმა პირადი მაგალითი უნდა აღზარდოს მოსწავლის შევნებაში პატივისცემა და სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი სოციალისტური სინამდვილისადმი, რომლის ძლიერებისა და დიდების აღმნიშვნელია სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი.

მიზანდასახულობა ღრმად და საფუძვლიანად უნდა განემარტოს, რომ სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი განუყოფელი ნაწილია საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციისა; ჰიმნი უმღერის საბჭოთა ხალხის ურღვევ მეგობრობას, ჩვენს წინსვლას, კომუნიზმის ერთგულებას, კომუნისტურ პარტიას, რევოლუციის დიდ ელადს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს;

პედაგოგიური კოლექტივების, სიტყიერული პედაგოგის მუშაობის მიზანი უნდა იყოს ის, რომ მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ ჩვენი სამშობლოს ისტორია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული წითელ დროშასან, მის ფერებსა და გერბის შინაარსობრივ მხარესთან, რომ სახელმწიფო დროშის ყოველი აღმართვა, ჰიმნის ყოველი შესრულება და გერბის აღქმა მიზანდებში იწვევდეს ჭეშმარიტი სიამაყის გრძნობას, ახალი დროისადმი, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისადმი, უცილობელი და ლოგიკური გამარჯვებისადმი ოპტიმისტურ სულისკვეთებას. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ჩვევის გამომუშავებას, რომ სსრ კავშირის ჰიმნს—სამშობლოს მთავარ სიმღერას—ისმენენ და ასრულებენ ფეხზე ამდგარი, ხოლო პიონერები საღუტს აძლევენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ჰიმნის, დროშისა და გერბის როლის გაძლიერების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებებმა, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

I. 1. —იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა წარმართონ ისე, რომ ყოველმა პედაგოგიურმა და მოსწავლეთა კოლექტივმა ნაწილად გაიაზროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1977 წ.) პლენუმის დადგენილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 მაისის ბრძანებულება სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ, როგორც დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა; ეს მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ იმ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან.

I. 2. —ყოველ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სკოლა-ინტერნატში, საბავშვო სახლში, სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა სექტემბრის თვეში ყველა მოსწავლემ შეისწავლოს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი, გაეცნოს მის მუსიკალურ რედაქციას, აგრეთვე სხვა სახელმწიფო სიმბოლოების—დროშისა და გერბის ისტორიას. გასავალისწინებელ იქნეს, რომ ამ სიმბოლოს ვიზუალური აღქმა პირველი საფეხურია, უფრო მაღალი—მისი შინაარსი, რომლის აღქმა და შეცნობა, რწმენად გადაქცევა არის აღმზრდელობითი მუშაობის ერთერთი ძირითადი ამოცანა.

I. 3. —მიაქციონ საგანგებო ყურადღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჰიმნის—„ინტერნაციონალის" და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის შესწავლას, აგრეთვე პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების სიმბოლიკის მიზანდასახულ, გონივრულ გამოყენებას.

2. დაწესდეს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების შესრულება იმ ტრადიციულ სასკოლო ზეიმებზე, რომლებიც დაკავშირებულია:

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავთან;
სსრ კავშირის შექმნის წლისთავთან;
საბჭოთა კონსტიტუციის დღესთან.
ვ. ი. ლენინის დაბადების დღესთან.
ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესთან
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავთან.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის დებულებიდან გამომდინარე, აღიმართოს ყველა სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულე-

ბაში სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა 8 მარტს, 22 აპრილს, 1 და 2 მაისს, 9 მაისს, 7 და 8 ნოემბერს, 7 ოქტომბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულებიდან გამომდინარე აღიმართოს ყველა სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებაში საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა.

4. დაწესდეს სსრ კავშირის და საქართველოს სახელმწიფო დროშების აღმართვა-დაშვება და სახელმწიფო ჰიმნების შესრულება სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრებისას.

5. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ხელმძღვანელებმა მიიღონ ზომები, რათა:

—სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშები ინახებოდეს საგანგებოდ გამოყოფილ და მხატვრულად გაფორმებულ ადგილებში (პიონერთა ოთახი, ვ. ი. ლენინის მუზეუმი ან კუთხე, საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმი და სხვა.)

—სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ჰიმნების ტექსტები გამოკრულ იქნას საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე;

—სსრ კავშირის გერბის გამოსახულება მოთავსებულ იქნას სკოლის ვესტიბიულში და სააქტო დარბაზში.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოფს სკოლებს, სკოლისგარეშე დაწესებულებებს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ახალი ტექსტითა და თვალსაჩინო მასალით. განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი-მუშაობის სამმართველომ (ამხ. ამხ. მ. ოჩიგავა ე. ზარქუა) სახელმძღვანელოების გაწყოფილებამ (ამხ. თუთბერიძე) და მომაგრების მთავარმა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) 1977 წლის ბოლომდე უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები სახელმწიფო დროშებითა და გერბის გამოსახულებებით.

7. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე), აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. თ. მდივანი) და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ამხ. თ. ჟღენტი) 1977 წლის 20 ოქტომბრისათვის დაამუშაონ და წარმოადგინონ სახელმწიფო სიმბოლოების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესში გამოსაყენებელი მეთოდური მითითებანი და რეკომენდაციები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ ჰ. თუთბერიძე) 1978-1979 სასწავლო წლიდან უზრუნველყოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტისა და ნოტების შეტანა ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-III კლასებისა და IV, VI კლასების მუსიკის სახელმძღვანელოებში, ხოლო IV კლასისა და VII—X კლასების საქართველოს ისტორიის დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსის შევსება მოთხრობებით სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის, გერბისა და დროშის შესახებ.

9. გაზეთ „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. საჯაია) გააქტიურონ საქმიანობა სახელმწიფო, კომკავშირული და პიონერული სიმბოლიკისა და ახალი საბჭოური რიტუალების როლის გაძლიერებისათვის აღმზრდელობითი მუშაობაში, განიხილონ და რესპუბლიკის პედაგოგიურ საზოგადოებას გააცნონ ამ მიმართულებით დაგროვილი დადებითი გამოცდილება.

10. აღნიშნულ ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. ე. ქურციკიძე) და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩიგავა).

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებასა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში".

მ ი ნ ი ს ტ რ ი ო. ჭინჭლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გულითადად მოგესალმებიან თქვენ—ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს.

იმ დიდ შრომითს წარმატებებში, რომლითაც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები შეხვდნენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებს—სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის საიუბილეო ზეიმს, ამ ღირსშესანიშნავ მოვლენებთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლებს, თქვენი წვლილიც არის, ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო!

გვახარებს, რომ თქვენს საქმიანობას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ღრმა კომუნისტური შინაარსი აქვს, რომ იგი გეხმარებათ სწავლასა და მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცედ დაუფლებაში.

კარგია, რომ ამჟამად, როცა დიდი მუშაობაა გაჩაღებული სახალხო მეურნეობის დარგებში ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, კონკრეტულად განსაზღვრეთ თქვენი ადგილი ამ დიდმნიშვნელოვან მოძრაობაში: ეხმარებით უფროსებს ვენახების მოვლა-პატრონობაში, მოსავლის აღებაში, ვაზის უნიკალური ჯიშების აღდგენა-განვითარებაში; მოსაწონია თქვენი ინიციატივა, რომ თითოეული მოსწავლე სკოლის სასწავლო-საცდელ და საკარმიდამო ნაკვეთებზე დარგავს და გაახარებს ერთ-ორ ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზს, რაც

წუთწლედის ბოლოსათვის 400 ათას ძირნამყენ ვაზს მოგვცემს. თქვენი პატრიოტული ვალია კიდევ უფრო გააფართოოთ სასკოლო სანერგეების ქსელი, ღრმად შეისწავლოთ თანამედროვე აგროტექნიკის საფუძვლები, დანერგოთ მევენახეობის ოსტატთა მოწინავე გამოცდილება, მიიღოთ უფროსი თაობის შრომითი ესტაფეტა.

ძვირფასო მეგობრებო! წარმატებას ვუსურვებთ თქვენს შეკრებას, რომელიც, უეჭველია, ახალ ენერგიასა და ენთუზიაზმს შთაგინერგავთ, მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციასა და რჩევა-დარიგებას მოგცემთ ნორჩ მევენახეთა საქმიანობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე დასაყენებლად, მისი ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების დასახვეწად და გასამრავალფეროვნებლად. დარწმუნებული ვართ, რომ მოზარდი თაობისათვის პარტიის მამობრივ ზრუნვას, თქვენდამი ხალხის დიდ სიყვარულსა და იმედებს უპასუხებთ ბეჯითი სწავლით, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში კიდევ უფრო აქტიური ჩაბმით, ლენინის უკვდავი იდეების განხორციელებისათვის ნიადაგ მზადყოფნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ნორჩ მევენახეთა 1 რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიმართვა რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობისადმი

ჩვენო თანატოლებო!

თანამედროვე ეპოქა საბჭოთა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისათვის აღსავსეა ისეთი ისტორიული მნიშვნელობის თარიღებით, როგორიცაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუციის მე-60 წლისთავი და ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და მიღება ჩვენი შრომის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შთაგონების უშრეტი წყაროსთვალი.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ჩვენი ქვეყნის სხვა მშრომელებთან ერთად დიდი სიკეთე გლეხობასაც მოუტანა. გაიხარა მგზავრის გულმა—დაიწყო დიდი რთველობა საქართველოში. ვენახი—ეს დიდი სიმდიდრე გულს უხარებს გამრჯე მევენახეებს, ქვეყანას, ხალხს. მაგრამ ეს სიმდიდრე, როგორც იტყვიან, „ბუნების წყალობა" როდია. მკლავდაკაპიწებული მეზვრე დღენიადაგ ვაზთან ფუსფუსებს, ოფლს ღვრის, ბუნების სიმტკიცეს ებრძვის მეუპოვრად და თავდადებით. ამ ბრძოლაში იგი ყოველ წუთს, ყოველ საათს გრძნობს საქართველოს ყველა მშრომელის ნამდვილ საქმიან, პრაქტიკულ მხარდაჭერას.

ვაზის სიყვარული კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის ნიშანდობლივი თვისებაა, მისი შრომისა და ბრძოლის, მისი ცხოვრების ნათელი გზა და მიზანია. საქართველოს მევენახეებს ყურძნის ბარაქით, ქართული ღვინის ძალით არაერთხელ უსახელებიათ თავი სამშობლოს წინაშე. კარგი მევენახე ყურძნის ყოველ მტევანს შეჰხარის, თავს ევლება. იცის, რომ ცალკეული მტევნებისაგან შედგება ტონები და შემდეგ ასეული ტონები... ასეთი ანგარიში, ვაზის ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული თუ არ იქნა, მაშინვე თავს წამოყოფს ცუდი მეურნის ყველა ნაძრახი თვისებები და რთველსაც ბარაქა მოაკლდება.

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი უფროსი თაობა პირნათლად ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობების გადაწყვეტილებებს. ჩვენ კი ვუზივართ სკოლის მერხს და ვემზადებით დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრებისათვის. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა—ვისწავლოთ ფრიადზე.

ჩვენ გვახსოვს დიდი ლენინის ანდერძი, რომ უმუშევრად, უბრძოლველად, მარტო წიგნებიდან მიღებული ცოდნა არაფერია და რომ მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომით შეგვიძლია გავხვდეთ ნამდვილი კომუნისტები. „მხოლოდ შრომით“!—ლენინის ეს სიტყვები გვიხმობდნენ და გვიხმობენ შრომითი გმირობისაკენ.

„მხოლოდ შრომაში“—ეს ისმის როგორც დევიზი ჩვენთვის, სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდა თაობებისათვის და მოუწოდებთ ყველა თანატოლებს ჩაებნენ შრომით ბრიგადებში, ნორჩ ნატურალისტთა წრეებში, დასძებნონ ვაზის ახალი ჯიშები, კლონები, გააშენონ ვენახები, გამოიყვანონ გადაშენების გზაზე დამდგარი ჯიშები და გაამრავლონ ისინი.

გავეცანით რა ამ შეკრებაზე ჩვენი თანატოლების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენ და ჩვენი თანატოლების შრომას ქვეყნისათვის. ჩვენი უპირველესი ვალია შევაჩვიოთ ვაზის სიყვარული ახალგაზრდობას. დაგვერწმუნეთ ჩვენო მეგობრებო, ისეთი გატაცება და სიყვარული იცის ვაზმა, ბავშვობიდანვე თუ მას ჩვევად ვაქცევთ, ახალგაზრდობაში ვაზისადმი პატივისცემა უკვე „ერთგულებად“ იქცევა.

მოგიწოდებთ აქტიურად ჩაებათ ნორჩ მევენახეთა წრეებში, მევენახეობის საწარმოო ბრიგადებში, დაეუფლოთ მევენახის უკეთილშობილეს პროფესიას და გარკვეული წვლილი შეიტანოთ ხუთწლედით გათვალისწინებულ 800000 ტონა ყურძნის გეგმის შესრულების საქმეში.

ვთხოვთ ჩვენს მეცნიერ-მუშაკებს—იყვნენ ჩვენი მრჩეველნი და დამრიგებელნი ძველი, გადაშენების გზაზე მდგარი ჯიშების აღდგენაში, ვაზის კლონების აღმოჩენაში, ახალი ჯიშების გამოყვანაში.

„პირობას ვიძლევით ჩვენი დაუღალავი სწავლითა და შრომით მხარს დავუმშვენებთ რესპუბლიკის კოლმეურნეებს, ყოველმხრივ და-

ვეხმარებით, რათა მათ პირნათლად შეასრულონ პარტიისა და მთავ-
რობის დავალება.

თითოეული ჩვენთაგანი სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე და საკარ-
მიდამო ნაკვეთზე დარგავს და ახაოებს ეთერ-ორ ფილოქსერაგამძლე
საძირე ვაზს, რაც ხუთწლედის ბოლოსათვის მოგვცემს 400000 ძირი
ნამყენი ვაზის მასალას". ამით მნიშვნელოვნად გავზრდით მევენახეობას,
როგორც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის წვედ-
რით წონას.

მთელ ჩვენ ძალებს, ცოდნას მოვახმართ ოქტომბრის საქმეს,
კომუნიზმის საქმეს.

მილოცულია ნოტრის მევენახეთა 1 რესპუბლიკური შეკრებაზე
ქ. გურჯაანში 1977 წლის 20 ნოემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 1 ნოემბრის დადგენილება

ქ. გურჯაანში ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1977 წლის 18 მარტის ერთობლივი დადგენილების „მევენახეობის შემდგომ განვითარებაში რესპუბლიკის სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის“ შესახებ შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

1. ჩატარდეს ა/წლის 18—19—20 ნოემბერს ქ. გურჯაანში ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრება.

2. დამტკიცდეს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა (თან ახლავს).

3. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამბ. ხ. ოჩიგავა).

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ო. ქინქლაძე

მდივანი — ნ. ღაჭბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება № 731

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

1. ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 ოქტომბრის № 709 დადგენილებას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილება № 709
1977 წლის 20 ოქტომბერი
ქ. თბილისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინადადება და დამტკიცდეს აღნიშნული სამინისტროს კოლეგია შემადგენლობით:

1. ო. დ. ქინქლაძე—საქართველოს სსრ განთლების მინისტრი

2. ხ. მ. ბერულავა—საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების" დირექტორი

3. მ. დ. დარჩია—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი

4. მ. კ. კობახიძე—თბილისის 1-ლი რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

5. უ. პ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე

6. გ. ა. საყვარელიძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

7. მ. ნ. ფაჩუაშვილი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

7. ნ. ა. ფოფხაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

9. მ. ნ. ქოჩაკიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

10. ლ. თ. ჩიქვანაია—თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1966 წლის 24 მარტის № 189 დადგენილების მე-2 მუხლი, 1973 წლის 21 ნოემბრის № 669 და 1975 წლის 13 მარტის № 174 დადგენილებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე—ზ. პატარიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს საქმეთა მმართველის
მოადგილე—ა. ხუციშვილი

მინისტრი—ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილება

1975—77 წლებში საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ

1977 წლის 24 ოქტომბერი

განიხილეს რა საკითხი 1975—1977 წლებში სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის საკავშირო დათალიერებაში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების ინფორმაცია: „საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ"—მიღებულ იქნას ცნობად.

არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისა და მოყვანილ ფაქტებზე რეაგირების მიზნით ინფორმაცია განსახილველად დაეგზავნოთ ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო განათლების განყოფილებებს (თან ერთვის).

2. სკოლისგარეშე დაწესებულებების საკავშირო დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ სკოლისგარეშე დაწესებულებათა კოლექტივები თანდართული სიის მიხედვით.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა კომკავშირის საოლქო, საქალაქო, და რაიონულმა კომიტეტებმა, სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დასახონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის, მათი თავისუფალი დროის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.

გააუმჯობესონ სკოლისგარეშე დაწესებულებების ორგანიზაციულ-მასობრივი, საინსტრუქტაჟო-მეთოდური, წრეობრივ და საკლუბო მუშაობაზე ხელმძღვანელობა, გააძლიერონ წარმოებების, დაწესებულებების, უწყებების შეფობა სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი. განახორციელონ ღონისძიებები მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის გასამტკიცებლად, კვალიფიცირებული კადრების შესარჩევად.

4. კონტროლი აღნიშნული დადგენილებების შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩიგავა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. რ. ღარიბაშვილი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქთთველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი
ჟ. შარტავა	ო. ჭინჭლაძე

ქ-4518

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟ. შარტავის სახ. საქ. სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასაჯილდოებლად წარდგენილი სკოლისგარეშე დაწესებულებები

1. ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
2. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
3. რუსთავის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
4. ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
5. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
6. ბათუმის ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
7. ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
8. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
9. ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
10. ზუგდიდის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
11. გორის რაიონის პიონერთა და მოსწაველეთა სახლი
12. გაგრის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
13. ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
14. წულუკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
15. წყალტუბოს პიონერთა და მოსწავლე ა სახლი
16. ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
17. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური
18 ბათუმის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური
19. სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური
20. ცხინვალის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური
21. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური
22. ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა საოლქო სადგური
23. სოხუმის ნორჩ ნატურალისტთა საოლქო სადგური
24. ცხინვალის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური
25. ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების ინფორმაცია

1975—1977 წლებში საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ

საქართველოს პროფსაბჭოს სამდივნოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებები 1975—76 წლებში ჩაბმული იყვნენ სკოლისგარეშე დაწესებულებების საკავშირო დათვალიერებაში.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტიპისა და უწყებათა სკოლისგარეშე დაწესებულებებმა. დათვალიერების ხელმძღვანელობის მიზნით შექმნილი იყო რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები, სახალხო განათლების ორგანოების, კომკავშირის კომიტეტების, პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბრიგადამადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტების ანგარიშების საფუძველზე რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში შეისწავლა სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობა, რამაც ცხადყო, რომ ორგანიზებულად ჩატარდა დათვალიერება აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ს/ოსეთის რიგი ქალაქებისა და რაიონების, ქ. თბილისის, რუსთავის, ტყიბულის, ფოთის, წყალ-

ტუბოს, ხაშურის წულუკიძის, გორის, ზუგდიდის რაიონების სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლის საქმიანობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის მზადების პერიოდში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებებმა აქტიური მუშაობა გასწიეს მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, სამხედრო-პატრიოტული, შრომითი აღზრდისა და მათი პროფესიული ორიენტაციისათვის. ხელმძღვანელობენ რა სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით იდეოლოგიური მუშაობისა და მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ, სკოლის გარეშე დაწესებულებებმა საგრძნობლად გააძლიერეს მუშაობა მოსავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი ნაწარმოებების, სკკპ დოკუმენტების სწავლების საფუძველზე. შემოქმედებითად იყენებენ აღნიშნულ საკითხზე ჩატარებულ III საკავშირო კონფერენციის რეკომენდაციებს.

დათვალიერების პერიოდში ახალი მასალებით შეივსო, უფრო შინაარსიანი გახდა ისტორიულ-რევოლუციური, სამხედრო-პატრიოტული მუზეუმების კლუბების, ლექტორიუმების, წითელი კვალისმაძიებელთა შტაბების, თემურელთა რაზმებისა და საგუშაგოების საქმიანობა. კომკავშირის კომიტეტებისა და ვეტერანთა საბჭოების ხელმძღვანელობით სკოლისგარეშე დაწესებულებები აქტიურ დახმარებას უწევენ პიონერულ კოლექტივებს საბჭოთა ხალხის გმირულ-რევოლუციური და საბრძოლო დიდების გზის შესწავლაში.

რესპუბლიკის რიგმა სკოლისგარეშე დაწესებულებებმა გააძლიერეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობა. წარმოებებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში შემოქმედებითად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. ასეთი მუშაობის შედეგად დათვალიერების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა მასობრიობა საკავშირო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. გასულ სასწავლო წელს სსრკ და საქართველოს სსრ სახალხო მიღწევათა გამოფენის მონაწილეა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 200 მოსწავლე. 31-ე და 32-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ორმოცათასამდე მოსწავლემ.

დათვალიერების მიმდინარეობისას რესპუბლიკის მთელ რიგ ქა-

ლაქებსა და რაიონებში სკოლისგარეშე დაწესებულებები გადაიქცნენ სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების, კონკურსების, დათვალიერებების სამხედრო-სპორტული თამაშების, მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების დღეების, სპორტული თამაშებისა და შეჯიბრებების ჩამტარებელ ორგანიზაციულ-მეთოდურ ცენტრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისგარეშე დაწესებულებებმა გააძლიერეს მუშაობა პიონერთა რაზმების საკავშირო მარშის პროგრამის განხორციელებისა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით. დიდი ყურადღება ეთმობა მუშაობას პიონერთა ხელმძღვანელებთან, კლუბის ხელმძღვანელებთან, წრეების ხელმძღვანელებთან, პიონერულ და სასკოლო კომკავშირულ აქტივთან.

სკოლისგარეშე დაწესებულებები აქტიურად იყენებენ პედაგოგიური და სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაძლებლობებს, მოწინავე პედაგოგების გამოცდილებას, მეტ ყურადღებას უთმობენ პიონერული და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების, პროფესიული წრეების მუშაობის შესწავლას, მეთოდური რეკომენდაციების, დებულებებისა და პროგრამების შემუშავებას. ამაღლდა სემინარების, კონფერენციების, მეთოდური გაერთიანებების, კონსულტაციების, მასობრივი ღონისძიებების ჩატარების ხარისხი.

ამ მიმართებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საქმიანობა. სასახლის პედაგოგიური კოლექტივი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მრავალმხრივი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით წარმატებით წყვეტს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. სისტემატურად ზრუნავს მეთოდური მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისათვის. სასკოლო კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციებისა და სკოლისგარეშე მუშაობის აქტუალურ საკითხებზე მუშაობას წარმართავს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად.

დათვალიერების პერიოდში პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ გააუმჯობესა მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება პიონერთა სახლების საქმიანობისადმი, პიონერული რაზმებისა და რაზმეულების მუშაობისადმი.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სასახლის მეთოდგანყოფილებების მიერ გამოიცა 50 დასახელების მეთოდური ბროშურა და

რეკომენდაცია. პიონერთა სასახლის დირექცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მუშაობის ახალი ფორმისა და მეთოდების დანერგვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების პერიოდში მრავალი საინტერესო ღონისძიების ჩატარების ინიციატორი გახდა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში ტექნიკისადმი სიყვარულის დანერგვას, მათი შემოქმედებითი უნარის გამოვლენას. სისტემატურად ეწყობა მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყობის, აპარატებისა და დიდაქტიკური მასალების გამოფენა, წარმატებებით გამოირჩევა რადიოტექნიკური, ავიასამოდელო, გემთმოდელისტთა წრეების საქმიანობა. სადგურის აღსაზრდელებმა თავი ისახელეს რესპუბლიკურ და საკავშირო მასშტაბით ჩატარებულ ღონისძიებებში.

დათვალიერების მიმდინარეობის პერიოდში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კადრებთან მუშაობა, მათი სწავლება მიმდინარეობს სახალხო განათლების ორგანოებთან კომკავშირის შესაბამის კომიტეტებთან მჭიდრო კავშირში. სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკებთან მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამინისტროებსა და კომკავშირის საოლქო კომიტეტებს, თბილისის კომკავშირის კომიტეტსა და განათლების განყოფილებას, რუსთავის, ტყიბულის, განათლების ორგანოებსა და კომკავშირის კომიტეტებს.

საკავშირო დათვალიერების მიმდინარეობისას რიგი განათლების განყოფილებებისა და კომკავშირის კომიტეტების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად სკოლისგარეშე დაწესებულებების გარკვეული ნაწილის საქმიანობა ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ბორჯომის, გურჯაანის, ჯავის, ყაზბეგის, ონის, საგარეჯოს, ხობის, კასპის რაიონებში დათვალიერება არ იქნა გამოყენებული არასასწავლო დროს ბავშვებთან და მოზარდებთან აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტური ფორმების დანერგვისა და სრულყოფისათვის, ადგილობრივმა საორგანიზაციო კომიტეტებმა ვერ შესძლეს მაქსიმალურად გამოყენებინათ არსებული შესაძლებლობები, რამაც ხელი შეუშალა სკოლისგარეშე დაწესებულებების საინსტრუქციო-მეთოდური ფუნქციის შესრულებას, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

აღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს სკოლისგარეშე დაწესებულებების წრეების გაერთია-

ნებების მუშაობა მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის, მაგალითად მოქალაქის, მებრძოლისა და ორგანიზატორის თვისებების ფორმირებისათვის, იმ ფორმებისა და მეთოდების გამოყენებისათვის რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა კოლექტივების შეკავშირებასა და აღზრდას პიონეოული ორგანიზაციის კანონებისა და პრინციპების საფუძველზე, ბავშვთა თვითმმართველობის ორგანოების, ტრადიციების, რიტუალების, თამაშობათა სისტემის, ბავშვთა აქტივის წახალისების მორალური სტიმულის განვითარებას. ასპინძის გარდაბნის, ყვარლის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, თელავის, თეთრიწყაროს, ცაგერის, ჩხოროწყუს პიონერთა სახლები სუსტ დახმარებას უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში. ამ მიზნით ნაკლებად არის გამოყენებული დასწრებულ-დაუსწრებელი მუშაობის ისეთი ფორმები, რომლებიც მოსწავლეებს ჩაუნერგავენ შრომისადმი სიყვარულს, მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარს. რიგი სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაში აშკარა გამოხატულებას პოულობს ფორმალიზმი, საქმისადმი უპასუხისმგებლო და გულგრილი დამოკიდებულება. ლონისძიებათა ერთი ნაწილი თავისი იდეური და პოლიტიკური დონით ვერ ახდენს მოსწავლეებში შეძენილი ცოდნის რწმენად გადაზრდასა და რწმენის მოქმედებაში გამოვლენას. წრეებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელობად არაკვალიფიციური და გამოუცდელი ამხანაგების დანიშვნა თავიდანვე განაპირობებს დაკისრებული საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას. კასპის რაიონის პიონერთა სახლში განათლების განყოფილებამ წრის ხელმძღვანელად დანიშნა პიროვნება, რომელსაც სკოლაში არასოდეს არ უმუშავნია და ამჟამად ხელმძღვანელობს მხარეთმცოდნეთა ერთ წრეს ცხადია, რომ პიროვნება, რომელიც კვირაში ორჯერ საათნახევრით გადის პიონერთა სახლში ვერ შესძლებს ამ საქმიანობის ნორმალურად წარმართვას. როგორც აღნიშნეთ ფორმალიზმს მუშაობაში აქ ხელმძღვანელის დანიშვნისთანავე ჩაეყარა საფუძველი. საგულისხმოა ისიც, რომ მსგავსი ფაქტი კასპის პიონერთა სახლისა და რესპუბლიკის რიგი სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის გამონაკლისს არ წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ გორის, ქუთაისის პიონერთა სასახლეებში, ყვარლის, ლანჩხუთის, მცხეთის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის პიონერთა სახლებში მუშაობენ ისეთი სახის წრეები, რომლებიც თავიანთი მუშაობის შინაარსით არ პასუხობენ დღევანდელ გაზრდილ

მოთხოვნებს. პიონერთა სახლებსა და სასახლეებში არსებული ისეთად მცირე რაოდენობის ფინანსური ჯგუფები არარაციონალურად [illegible] ყენებული. აღნიშნულ პიონერთა სახლებსა და სასახლეებში მეტად მცირეა ტექნიკური წრეების რაოდენობა.

გადახედვას მოითხოვს სკოლისგარეშე დაწესებულებებში წრეების არსებული ნომენკლატურა, მცირე რაოდენობითაა შექმნილი ბიოლოგიური პროფილის, ბუნების დაცვის, მოდელირების, კონსტრუირების, და სხვა სახის წრეები და გაერთიანებები. თუ კავშირის მასშტაბით ტექნიკურ შემოქმედებაში დაკავებულ მოსწავლეთა რაოდენობა 9,1 პროცენტს შეადგენს, რესპუბლიკაში ის 4 პროცენტს არ აღემატება, რაც მეტად დაბალი მაჩვენებელია.

სერიოზული პრობლემებია მეთოდური საქმიანობის ორგანიზაციაში. სასკოლო აქტივისათვის სემინარები, კონფერენციები ხშირად ტარდება დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე, აქტივის მომზადების დონის, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებლად. ქუთაისისა და ჭიათურის პიონერთა სასახლეებში ჯერ კიდევ არ არის მოფიქრებულად გადაწყვეტილი მეთოდური კაბინეტებისა და ზოგიერთი განყოფილების მუშაობის შინაარსი. სკოლისგარეშე დაწესებულებათა დიდი უმრავლესობის თვალსაჩინოებებით გაფორმება არ ასახავს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, წრეებისა და კოლექტივების მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას. არასაკმარისი ყურადღება ეთმობა ბავშვთა აქტივისათვის ოპერატიული მასალების, პლაკატების, ნახაზების დროულად გამოცემას.

არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს სკოლისგარეშე დაწესებულებათა დიდი უმრავლესობის მუშაობა ბავშვთა საზაფხულო დასვენების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში სკოლისგარეშე დაწესებულებების საკმაოდ ფართო ქსელია, ძალზე დაბალია მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა.

სკოლისგარეშე დაწესებულებების დიდი ნაწილი მოთავსებულია სამუშაოდ თითქმის გამოუყენებელ შენობებში, რომლებიც არ პასუხობენ მიქსიმალურ მოთხოვნებს. 8 პიონერთა სასახლიდან, მხოლოდ 3-ს აქვს ცალკე შენობა (5 შესახლებულია სხვა ორგანიზაციებთან ერთად). 75 პიონერთა სახლიდან ცალკე შენობა აქვს 29-ს. (45 შესახლებულია სხვა ორგანიზაციებთან ერთად). 21 პიონერთა სახლს მხოლოდ 2 ან 4 ოთახი გაჩნია, 50-დან 100-მ² ფართობით. საგარეჯოსა და ჯავის პიონერთა სახლები შესახლებულია დაქირავე-

ბულ შენობაში, ხოლო გურჯანიის, ქარელის, ოიანეთის, წულუკიძის, თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის პიონერთა სახლები სკოლების შენობებშია მოთავსებული.

უკეთესი მდგომარეობა არც პროფილურ სადგურებს აქვთ. ნორჩ ტექნიკოსთა 15 სადგურიდან მხოლოდ 5-ს გააჩნია ცალკე შენობა, 4 მათგანს გამოყოფილი აქვს არაუმეტეს 1-3 ოთახისა. ნორჩ ნატურალისტთა 8 სადგურიდან მხოლოდ 2 ს გააჩნია ცალკე შენობა, ნორჩ ტურისტთა 5 სადგურიდან ცალკე შენობა აქვს მხოლოდ 2-ს, დანარჩენი შესახლებულია სხვა ორგანიზაციებთან ერთად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დათვალიერების რიგი საორგანიზაციო კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობას. სისტემატურად არ ხდებოდა დათვალიერების მიმდინარეობის შესწავლა და განხილვა. დაგვიანებით იქნა შეჯამებული დათვალიერების შედეგები, საერთო ანალიზი არ გაუკეთდა სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობას. არ შეუმუშავებიათ ამ საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები, არ უზრუნვიათ მისწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე მომუშავე ყველა ორგანიზაციის შესაძლებლობათა გამოყენებისათვის სკოლისგარეშე მუშაობის საუკეთესო გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის. უფრო მეტიც, დათვალიერების შედეგების შესახებ მასალები საერთოდ არ წარმოუდგენიათ ვანის, ქარელის, მესტიის, თერჯოლის, წალენჯიხისა და წალკის რაიონების საორგანიზაციო კომიტეტებს.

სასურველია რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემებზე მომუშავე მეთოდური საბჭოები, რომლებიც კოორდინაციას გაუკეთებენ ყველა არსებულ შესაძლებლობას, პერიოდულად გაანალიზებენ სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობას და მათი ეფექტური ამაღლების მიზნით გაატარებენ კონკრეტულ ღონისძიებებს. ამ საქმეს ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოები და კომკავშირის შესაბამისი კომიტეტები უნდა ჩაუდგნენ სათავეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1978 წლის კალენდარული გეგმის შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1978 წლის კალენდარული გეგმა (თან ერთვის).

2. განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაკების სამმართველომ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, საავტონომიო ოლქებისა, ა/ო ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა დაიყვანონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე, დაწესებულებამდე, დაინტერესებულ უწყება-ორგანიზაციამდე. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა:

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია დაინტერესებულ უწყება-ორგანიზაციებთან.

4. წინადადება მიეცეს ორგანიზაციებსა და უწყებებს მოსწავლეთა და სახალხო განათლების მუშაკთა მასობრივი და რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარებისას იხელმძღვანელონ ამ კალენდარული გეგმით და სადირექტივო ორგანოების იმ გადაწყვეტილებებით, რომ მოსწავლეთა, ვის და სახალხო განათლების მუშაკთათვის განკუთვნილი მასობრივი და ცალკეული ღონისძიებები, რომლებსაც რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები და მათი ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ, შეთანხმებული უნდა იქნას განათლების სამინისტროსთან და განათლების შესაბამის ორგანოებთან.

5. კონტროლი აღნიშნული გეგმის შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

მინისტრი — ო. ქინქლაძე

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1978 წლის კალენდარული გეგმა

№№	ღონისძიებათა დასახელება	ჩატარების დრო, ადგილი	ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები
1	2	3	4
1	ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეული.	იანვარი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური)
2	ტურიზმის რაიონული, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი.	იანვარი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ალმზრდელობითი მუშაობის საამართველო (ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული საღგური)
3	პიონერთა სახლებთან და სასახლეებთან არსებული სახვითი ხელოვნების წრეების ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა	თებერვალი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე)
4	ოლიმპიადა მათემატიკაში	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტი ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ვ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის სკოლა ინტერნატი)

1	2	3	4
5	ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ბავშვთა ნახატების რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბავშვთა სუბიექტის რესპუბლიკური გალერეა)
6	ოლიმპიადა ფიზიკაში	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური)
7	ოლიმპიადა ქიმიაში	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი)
8	ოლიმპიადა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი)
9	მოსწავლეთა მე-6 შორეული ექსკურსია-კონფერენცია გმირ ქალაქებში	მარტი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური)

1	2	3	4
10	მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მეცხრე რესპუბლიკური დათვალიერება	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო მეთოდური ცენტრი) საქართველოს სსრ პროფსაბჭო
11	ნორჩ ფიზიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა	მარტი აპრილი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების საერთაშორისო (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე)
12	ბავშვთა და მოზარდთა მუსიკის საკავშირო კვირეული	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირი, საქართველოს სსრ პროფსაბჭო
13	საბავშვო და ახალგაზრდული წიგნის კვირეული	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს პროფსაბჭო
14	მოსწავლეთა თხზულებების მე-10 საკავშირო დათვალიერება	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

1	2	3	4
15	მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა რესპუბლიკური შეჯიბრი-კონკრესი	მარტი თბილისი	საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, „წითელი ჯვრის“ რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი
16	პიონერული რაზმების საკავშირო მარში დევიზით „მივდივართ ლენინის გზით, ოქტომბრის გზით“.	წლის განმავლობაში	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
17	პიონერული ოპერაცია „ზრუნვა—78“	წლის განმავლობაში	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
18	უფროსკლასელთა რესპუბლიკური კონკურსი „ოქროს კალმისა„ და სანიმუშო დღიურის პრიზზე	წლის განმავლობაში	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
19	პიონერული სამხედრო-სპორტული თამაში „ორლიონოკი“ რესპუბლიკური ფინალი	აპრილი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, „წითელი ჯვრის“ რესპუბლიკური საზოგადოება

1	2	3	4
20	მოსწავლეთა 33-ე რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია	აპრილი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე)
21	ბავშვთა ნახატების თემატური გამოფენა კონკურსი „მხატვარი და ბავშვები„	აპრილი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს მხატვართა კავშირი (აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი).
22	ნორჩ მხაზველთა მე-13 რესპუბლიკური კონკურსი	აპრილი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზოდელობითი მუშაობის სამმართველო (ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე)
23	უფროს პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური კოხფერენცია	აპრილი მაისი	საქართველოს სსრ გახათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი (ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე)
24	მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრება ტურიზმში	მაისი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული საღგური)

1	2	3	4
25	სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სპორტული ზეიმი-შეჯიბრება	მაისი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
26	სპეციალური სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება	მაისი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების სამმართველო.
27	ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური ესტაფეტა—„მშობლიური გზებით“	აპრილი-მაისი სპეცმარშრუტით	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი (ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური)
28	სპეციალური სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა	მაისი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების სამმართველო
29	შრომის დღესასწაული, სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ვინ მინდა გავხდე“	მაისი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების სამმართველო

1	2	3	4
30	საბავშვო ფილმების კვირეული	მაისი თებერვალი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის კომიტეტი, საქართველოს სსრ პროფსაბჭო
31	საქართველოს მოსწავლეთა 30-ე რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტის 25 სახეობაში (ფინალური ასპარეზობანი)	მაისი ივნისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველო, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი
32	პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის" რესპუბლიკური ეტაპი	მაისი ივნისი	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და სამხედრო მომზადების გახყოფილება, დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს სსრ პროფსაბჭო
33	ბავშვთა სპორტული თამაშების „იმედია სტარტის" რესპუბლიკური შეჯიბრება	ნლის განმავლობაში	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი
34	საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მხედველობადაქვეითებული სანატორიული ბაგა-ბაღების ძუშაობის საკითხებზე	ძ.ისი ოებილისი	სსრკ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

1	2	3	4
35	სპორტის ტექნიკურ სახეობაში რესპუბლიკური შეჯიბრებები (რადიოსპორტი, ავტომოდელიზმი, გემთმოდელიზმი, ავიომოდელიზმი, რაკეტმოდელიზმი)	ივნისი ივლისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური), საქართველოს სსრ პროფსაბჭო
36	ნორჩ ტურისტ-მხარეთმცოდნეთა 21-ე რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრება	ივლისი, აგვისტო, ბორჯომი, გვერდისუბანი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური)
37	რესპუბლიკური კონკურსი „კითხულობს მასწავლებელ“	ოქტომბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი)
38	ახალგაზრდული ფილმების კვირეული	ოქტომბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი

1	2	3	4
39	ძეგლის ხორჩ მეგობართა მე-11 რესპუბლიკური შეკრება „ჩუქურთმა“	ოქტომბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე)
40	საკავშვო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა	ოქტომბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი)
41	საქართველოს მოსწავლეთა სპორტული დელეგაციის მონაწილეობა მე-15 საკავშირო მოსწავლეთა სპარტაკიადაში	ოქტომბერი ქ. ტაშკენტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო
42	ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება	ნოემბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი (პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე
63	მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების კონკურსი-გამოფენა	ხუთშაბათი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო მეთოდური ცენტრი

1	2	3	4
44	ნორჩ შემოქმედთა მე-2 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი	ნოემბერი თ ილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე)
45	ნორჩ ფოლკლორისტთა მე-6 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი	ნოემბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე)
46	ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-17 რესპუბლიკური კონკურსი და კონკურსის შემაჯამებელი გამოფენა	ნოემბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური)
47	ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური შეკრება	ნოემბერი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი (ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური)

1	2	4	4
48	თეატრალური ხელოვნების კვირეული „თეატრი და ბავშვები“	დეკემბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება (აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო მეთოდური ცენტრი)
49	25-ე რესპუბლიკური გამოფენა „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“	დეკემბერი თბილისი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება № 747

რუსული და უცხოური ენების სწავლების სრულყოფის მიზნით პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ

ქართულ ზოგადსაგანსანათლებლო სკოლაში დამკვიდრებული სწავლების ტრადიციული პრაქტიკა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს რუსული და უცხოური ენების ცოდნის საჭირო დონესა და ეფექტს, რის შედეგადაც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ვერ ფლობს სასაუბრო ენას, დაბალია მეტყველების კულტურა, ღარიბია ლექსიკა.

ამის ძირითადი მიზეზი პედაგოგიურ პრაქტიკაში ზოგიერთი წამყვანი დიდაქტიკური პრინციპის უგულვებელყოფაა, რაც იმით გამოიხატება, რომ ენის სწავლების პროცესში დარღვეულია მოსწავლის ყურადღების კონცენტრირების, სწავლების უწყვეტი თანმიმდევრობისა და სისტემატურობის მოთხოვნები. საგნის სწავლებისათვის განკუთვნილი დროის განაწილება არ ითვალისწინებს შესასწავლი მასალის შემჭიდროებულ ვადებში მოქცევის შედეგიანობას. არ არის მხედველობაში მიღებული ისიც, რომ მოცემულ დროში შესასწავლი საგნების რაოდენობის შემცირება ხელს უწყობს ათვისების ეფექტს და სასწავლო მუშაობით მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ვთვლი პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარებას რუსული და უცხოური ენების სწავლების პროცესის გარდაქმნის გზით.

ექსპერიმენტის მიზანია პრაქტიკულად შემოწმდეს რუსული და უცხოური ენების სწავლების პროცესის არსებითი სრულყოფის ეფექტიანობა, გაირკვეს აღნიშნული საგნების სწავლების ახლებურად განხორციელების მთელიან სასწავლო სისტემაში შერწყმა-შეგუების შესაძლებლობანი და შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაციები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული, უცხოური ენებისა და მათთან კავშირში სხვა საგნების სწავლების პროცესის რაციონალური ორგანიზაციისათვის.

ექსპერიმენტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ რუსული და უცხოური ენების სწავლებისათვის განკუთვნილი დრო დაჯგუფდეს სასწავლო წლის სხვადასხვა მონაკვეთში და შეიქმნას პირობები აღნიშნული საგნების ურთიერთმონაცვლეობით სწავლების უწყვეტი თანმიმდევრობისათვის. ამასთან, დროის იმ მონაკვეთში, როცა ამ საგნებს უმნიშვნელო, ან სულ არა აქვთ დრო დათმობილი, არსებითად უნდა გაძლიერდეს ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, ვარჯიშისა და შემოქმედებითი მუშაობის მომენტები (წერილობითი სამუშაოები, საპროგრამო და კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა, ხელნაწერი ჟურნალების გამოშვება, ლიტერატურული დილასალამოების, კონკურსებისა და ვიქტორინების ჩატარება, სასკოლო ოლიმპიადების მოწყობა, კლასგარეშე მუშაობის ახალი ფორმების დანერგვა).

ექსპერიმენტის განხორციელება დაკავშირებულია სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების დაჯგუფებისა და გაკვეთილების ცხრილის შედგენის შედარებით ახალი მეთოდიკის დამუშავებასთან, აგრეთვე სასწავლო წლის გარკვეულ მონაკვეთში მასწავლებლების გამოთავისუფლებული დროის რაციონალურად გამოყენებასთან, რამაც სკოლის სასწავლო რეჟიმზე არსებითი გავლენა არ უნდა მოახდინოს.

ამასთან დაკავშირებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შემოღებულ იქნას 1977—1978 სასწავლო წლიდან რუსული და უცხოური ენების ექსპერიმენტის წესით სწავლება ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად ვ. დ. უშინსკის სახ. № 1 რესპუბლიკურ ექსპერიმენტურ (დირექტორი ამხ. მ. კობახიძე), ქ. თბილისის № 147 (დირექტორი ამხ. ა. ჩაფიძე) ქ. ბათუმის 23-ე (დირექტორი შ. დიასამიძე) და მცხეთის რაიონის მუხრანის (დირექტორი ამხ. კ. ქიქოსაძე) საშუალო სკოლებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ამხ. გ. საყვარელიძე) ექსპერიმენტთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევის ხელმძღვანელობა, რისთვისაც:

—გამოყოს და მიამაგროს დასახელებულ სკოლებს სათანადო

სპეციალობისა და კვალიფიკაციის მეცნიერ-მუშაკები და მათ სამეცნიერო-კვლევით გეგმაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება;

—წარმოადგინოს 1978 წლის 15 ივნისისათვის ექსპერიმენტიან დაკავშირებული მეცნიერული კვლევის ერთი წლის შედეგები და დასაბუთებული რეკომენდაციები.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) კონტროლი გაუწიოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად საჭირო დახმარება აღმოუჩინოს კ. დ. უშინსკის სახ. № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული, ქ. თბილისის № 147-ე ქ. ბათუმის 22-ე და მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს ექსპერიმენტის მაღალ პედაგოგიურ-ორგანიზაციულ და მეცნიერულ დონეზე ჩატარებაში.

მინისტრი—ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 1 ნოემბრის ბრძანება № 750

თბილისის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არაბული, სპარსული და თურქული ენების სწავლების შემოღების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს ბრძნულმა საგარეო პოლიტიკამ განაპირობა ჩვენი ხალხის მზარდი დაინტერესება მეზობელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების თანამედროვე ცხოვრებით, ეკონომიკით, ისტორიული წარსულით, კულტურით. ამან განაპირობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალისტების მომზადებისა და გამოყენების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ". აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების მიზნით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შემოღებულ იქნას 1978—1978 წლის 1 ოქტომბრიდან ქ. თბილისის 1-ლ, 54-ე საშუალო და მე-3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლების მეორე კლასში შესაბამისად სპარსული, თურქული და არაბული ენების სწავლება.

2. აღნიშნულ სკოლებმა იმუშაონ იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმით, სადაც ზოგიერთი საგანი უცხოურ ენაზე ისწავლება.

3. ეთხოვოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შეარჩიოს სათანადო სპეციალისტთა კადრი სპარსული, თურქული და არაბული ენების მასწავლებლებად.

4. ეთხოვოთ ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის, თურქოლოგიისა და სემიტოლოგიის კათედრებს მოამზადონ ამ ენების სწავლებისთვის საჭირო პროგრამები და სახელმძღვანელოები.

5. დაევალოთ 1-ლი, 54-ე საშუალო და მე-3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლების დირექტორებს (ამხ. ამხ. ლ. შეწირული, რ. ალავიძე, ლ. ურიდია) უზრუნველყონ ამ ენების მასწავლებლები სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტები ითა და სამუშაო პირობებით.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ, თ. ჩიტაძემ) მოაგვაროს ამ სკოლებში არსებული, სპარსული და თურქული ენების სწავლებასთან დაკავშირებული საფინანსო საკითხები.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ო. კვირიკაშვილი) უზრუნველყოს აღნიშნულ სკოლებში არაბული, სპარსული და თურქული ენების სპეციალისტთა დანიშვნა.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) საჭირო კონტროლი და დახმარება გაუწიოს სკოლებს აღნიშნული ენების სწავლების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 2 ნოემბრის ბრძანება № 753

მშობლიურ ლიტერატურაში მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეთერთმეტე ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

გასულ 1976/1977 სასწავლო წელს მშობლიურ ლიტერატურაში ჩატარებულმა მოსწავლეთა მეათე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ ხელი შეუწყო სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ამ საგნით დაინტერესებული ახალგაზრდების გამოვლენას, მათ პროფესიულ ორიენტაციას და მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დონის ამაღლებას.

რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო მერვე, მეცხრე და მეათე კლასების ხუთათასზე მეტმა მოსწავლემ, რომელთაგან რესპუბლიკურ, დასკვნით ტურში დაიშვა 1072. საბოლოოდ გაიმარჯვა და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის სიგელით 105 მოსწავლე, მეორე ხარისხის სიგელით 413, სულ 518 მოსწავლე.

რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრების განხილვამ გვიჩვენა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა სწორად გაიგო საგნის სწავლების წინაშე დასახული სადღეისო ამოცანები, განმავითარებელი სწავლების დანერგვისას საჭირო ყურადღებას აქცევს შესწავლილი მასალის, ფაქტების ცოდნის საფუძველზე მოსწავლეებში აქტიური მსჯელობის, ანალიზის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარის აღზრდას

ამგვარი მუშაობით გამოირჩევიან: ქ. თბილისის 1-ლი, 31-ე, 62-ე, ქ. ქუთაისის მე-19, მცხეთის რაიონის გლდანის, ჩხოროწყუს რაიონის სარაქონის, ქ. მახარაძის მე-2, ლანჩხუთის 1-ლი, რუსთავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-17, დუშეთის რაიონის პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატი და სხვა.

შერჩეულ თემებზე გააზრებული, დამოუკიდებელი მსჯელობით, სარწმუნო დასკვნებითა და წერითი მეტყველების მაღალი კულტურით ხასიათდება მოსწავლეების: ლ. ჭ. ხარჩილავას, ი. ვ. ჩაკვეტაძის (ქ. თბილისის 61-ე საშ. სკოლა, მასწავლებელი თ. შერვაშიძე), ნ. ი. კრავცოვას (ქ. თბილისის 126-ე საშ. სკოლა. მასწავლებელი ესმა ხურციშვილი), ქ. გ. ფურცხვანიძის (ქ. ქუთაისის მე-3 სკოლა, მასწავლებელი მარიამ კიკნაძე), ნ. შ. ლოლაძის (ქ. გორის მე-12 სკოლა, მასწავლებელი ქეთევან აბასაშვილი), მ. ლ. ურუშაძე (ქ. მახარაძის 1-ლი სკოლა, მასწავლებელი ანა ბერძენიშვილი), ნ. ი. ფირცხალაურის (დაბა ყაზბეგის საშ. სკოლა, მასწავლებელი თამარ დავითაშვილი) და სხვათა საოლიმპიადო თხზულებანი.

მიუხედავად აღნიშნულისა, მშობლიურ ლიტერატურაში მეორე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ გვიჩვენა, რომ ამ საგნის სწავლებაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს: მოსწავლეთა გარკვეული ნაწილს არა აქვს არჩეული თემის სწორად გააზრების მისი შესასრულებლად საჭირო ლიტერატურის შემოქმედებითი გამოყენების, აზრის დამოუკიდებელი, ლოგიკური თანმიმდევრობით, წიგნიერად გადმოცემის ჩვევები; მკვეთრად იგრძნობა ქართული ენის გრამატიკის კურსში შესწავლილი მართლწერის წესებისა და სხვ. თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენების უნარის უქონლობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურის ტურში მონაწილე 880 მოსწავლიდან 487-მა მიიღო შეფასება „სამი“, რვამ კი „ორი“.

განსაკუთრებული დაბალი მომზადება გამოავლინეს ც. გ. ნალბანდოვმა (ცხინვალის რაიონის ქურთის საშ. სკოლა მასწავლებელი ანო კაჟაშვილი), პ. პ. იობაიამ (აბაშის რაიონის სუჯუნის საშ. სკოლა, მასწავლებელი ფედოსი იობაია) ი. გ. წიგნაძე (ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის მეორე საშუალო სკოლა, მასწავლებელი ნათელა ბოჭოიძე), მ. ეგოროვამ (ქ. თელავის რუსული სკოლა), ი. სიუკაევამ (ქ. ცხინვალის მე-12 საშუალო სკოლა), ე. ხარებოვამ (ქ. ცხინვალის მე-12 რუსული სკოლა) და სხვ.

ლიტერატურის ოლიმპიადის დასკვნით ტურზე მოსწავლეთა ერთი, საკმაოდ სოლიდური ნაწილის წარუმატებლობა იმითაც არის შეპირობებული, რომ ამ საგნის ზოგი მასწავლებელი და ოლიმპიადის სასკოლო, საქალაქო, რაიონული და ზონალური ტურის საორგანიზაციო კომიტეტები არასაკმაო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ რესპუბ-

ლიკურ ოლიმპიადაზე მისავლინებელ კანდიდატთა შერჩევას, არაობიექტურად შეაფასეს მათი თხზულებანი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მშობლიური ლიტერატურის მეათე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებისათვის დაჯილდოვდეს: პირველი ხარისხის სიგელით 105 მოსწავლე, მეორე ხარისხის სიგელით 413 მოსწავლე.

2. მეთერთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

2. 1. ს. ხუციშვილი, თ. ს. უ. ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი (თავმჯდომარე)

2. 2. ხ. ბერულავა—გამომცემლობა „განათლების" გენერალური დირექტორი, მწერალი

2. 3. ვ. გასპარაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

2. 4. ე. გულდამაშვილი—ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (მდივანი)

2. 5. ს. დვალი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი (თავმჯდომარის მოადგილე)

2. 6. ო. დოლაბერიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. ს. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, დოცენტი

2. 7. ვ. გრიგორიანი—მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი

2. 8. ა. კასრაძე—ბ. ძნელაძის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე

2. 9. ა. კვასხვაძე—მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის საქალაქო ინსტიტუტის მეთოდისტი, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

1. 10. გ. მიქაელიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

2. 11. ნ. მურადოვა—გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

2. 12. მ. ოჩიგავა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

2. 13. ე. სურგულაძე—თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

2. 14. ვ. ტურძელაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტი, საქათრველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

2. 15. ივ. ქავთარაძე—ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" დამატების „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორი, პროფესორი

2. 16. ვ. შელემეტიევა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

2. 17. გ. ჯავახიშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

3. დამტკიცდეს მშობლიური ლიტერატურის მეთერთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება (თან ერთვის).

4. 1977/78 სასწავლო წელს მეთერთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ტურად. სასკოლო, საქალაქო, (რაიონული), ზონალური და რესპუბლიკური. ამასთან, განისაზღვროს მათი ჩატარების შემდეგი ვადები: სასკოლო—1977 წლის დეკემბერში, საქალაქო (რაიონული)—1978 წლის იანვარში, ზონალური 1—5 თებერვალს, რესპუბლიკური—2 აპრილს.

5. რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ქმედითი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სკოლებისა და ქალაქების (რაიონების) და ზონების საორგანიზაციო კომიტეტებს ადგილზე ოლიმპიადების მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მშობლიური ლიტერატურის მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები და მეთერთმეტე ოლიმპიადის დებულება, სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, გულდასმით გააცნონ ამ

საგნების მასწავლებლებს მეთოდგაერთიანებათა სპეციალურ სხდომებზე;

ბ) დროულად შექმნან მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო, საქალაქო, რაიონული და ზონალური ტურის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტები და განახორციელონ მათდამი საჭირო კონკრეტული ხელმძღვანელობა.

7. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საგნების შესწავლით განსაკუთრებით დაინტერესებულ მოსწავლეთა შერჩევას, ჩააბან ისინი საგნობრივ აკადემიურ წრეებში და ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათი ლიტერატურული განათლების, წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დონის შემდგომ ამაღლებას.

8. მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთა წახალისების მიზნით:

8. 1. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს (ამხ. ჟ. შარტავა), დააწესოს სამი პრიზი ლიტერატურის ოლიმპიადაში მონაწილეთა საუკეთესო ხუთეულისათვის;

8. 2. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას" (ამხ. ხ. ბერულავა) გამოსცეს ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა საუკეთესო თხზულებები;

8. 3. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძემ) დააწესოს ხუთი პრიზი იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოისენენ თავს ლიტერატურის ოლიმპიადის დასკვნით ტურში.

8. 4. ოლიმპიადაში გამარჯვებულთათვის მოეწყოს ექსკურსიები ისტორიულ-ლიტერატურული მარშრუტებით.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა მთავარმა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ქაღალდი.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 1978 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადის ჩასატარებლად საჭირო ხარჯები.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) განახორცი-

ელოს კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ. ბრძანების შესრულებ-
ბის მიმდინარეობაზე.

12. ეს ბრძანება დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებულება

მოსწავლეთა ოლიმპიადისა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში

1. მოსწავლეთა ოლიმპიადას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ბ. ძნელაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და თბილისის საქალაქო ინსტიტუტების მონაწილეობით ყოველწლიურად, ოქტომბრიდან აპრილამდე.

2. ოლიმპიადის მიზანია გააფართოოს და გააღრმავოს სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი, საგნების შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ორიენტაციას, აამაღლოს მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების VIII, IX, X (XI) კლასების მოსწავლეებს.

4. ნორჩ ლიტერატორთა რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდება ოთხ ტურად: პირველი—სასკოლო, მეორე—საქალაქო, რაიონული, მესამე—ზონალური, მეოთხე—რესპუბლიკური. შესაბამისად, პირველი ტური ტარდება სკოლაში, მეორე—ქალაქის, რაიონის, მესამე—ზონის ცენტრში, მეოთხე, რესპუბლიკური კი—ქ. თბილისში.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი;

ბ) საქალაქო, რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს ქალაქის, რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე;

გ) ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები—ზონის ცენტრად გამოყოფილი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა წარდგინებით; მასში შედიან სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და შესაბამისი ქალაქებიდან და რაიონებიდან. ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა მტკიცდება ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მიერ;

დ) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

6. ოლიმპიადის ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ქმნის ჟიურს, რომელიც ადგენს საოლიმპიადო მასალას, ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, არჩევს გამარჯვებულებს სიგელებით დასაჯილდოებლად, აგრეთვე საუკეთესო თხზულებებს—გამოსაქვეყნებლად.

7. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა იყოფა 29 ზონად; ზონების ცენტრებად მიჩნეულია:

7. 1. ქ. თბილისი—ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 2 ქ თბილისი—რკინიგზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 3. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 4. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის;

4. 5. ქ. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოსა და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 7. ქ. რუსთავი—ქ. რუსთავისა და გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 8. ქ. გორი—გორის, ქარელის, ხაშურის და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 9. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 10. ქ. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ხობისა და წალენჯიხის რაიონების მოსწავლეებისათვის;

7. 11. ქ. ჭიათურა — ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 12. ქ. სამტრედია—სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეები ისათვის;

7. 13 ქ. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეები ისათვის;

7. 14. ქ. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 15. ქ. მცხეთა—მცეთის, კასპისა და დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

6. 16. ქ. ახალციხე—ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 17. ქ. ახალქალაქის—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 18. ქ. ბოლნისი—ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეები ისათვის;

7. 19. თეთრიწყარო—თეთრიწყაროს რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 20. წალკა—წალკის რაიონის სკოლების მოსწავლეები ისათვის;

7. 21. ქ. თელავი—თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 22. ქ. გურჯაანი—გურჯანის, სიღნაღის, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონების სკოლების მოსწავლეები ისათვის;

7. 23. ქ. მახარაძე—მახარაძის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 24. ამბროლაური—ამბროლაურის და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

6. 25. მესტია—მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 25. ცაგერი—ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეები ისათვის;

7. 27. ლენტეხი—ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 28. თიანეთი—თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეები ისათვის;

7. 28. ყაზბეგი—ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეები ისათვის;

8. სასკოლო ტური ჩატარდება 1977 წლის დეკემბერში, საქა-

ლაქო (რაიონული)—1978 წლის იანვარში, ზონალური—5 თებერვალს, რესპუბლიკური—2 აპრილს. მოსწავლეს სასკოლო ტურში მონაწილეობისათვის შეარჩევენ საგნის მასწავლებელი; საქალაქო, რაიონული ტურის კანდიდატებს სასკოლო ტურში გამარჯვებულთაგან არჩევენ თვით სკოლები და მათ შესახებ სათანადო ცნობებს უგზავნიან ქალაქის, რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას.

ზონალური ტურის კანდიდატებს საქალაქო, რაიონული ტურში გამარჯვებულთაგან შეარჩევენ შესაბამისი საქალაქო, რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები და მათ სიებს, შემოწმებულს განათლების განყოფილების მიერ, 10 იანვრამდე უგზავნიან ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

9. ზონის საორგანიზაციო კომიტეტი ასწორებს სკოლის ზონალურ ტურზე შესრულებულ თხზულებებს, რესპუბლიკურ ტურში დასაშვებ მოსწავლეთა სიებსა და მათ ნამუშევრებს, არა უგვიანეს 5 დღისა, უდგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ გადაამოწმებს წარმოდგენილ შეფასებებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს გამოიწვევს რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს ეგზავნება ტურის იმ მონაწილეთა თხზულებანი, რომლებიც 12, 13, 14, 15 ქულით შეფასდა.

10 სასკოლო და საქალაქო, რაიონული ტურისათვის თემებს ადგენენ საქალაქო, რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები, ზონალური და რესპუბლიკური ტურისას—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. საორგანიზაციო კომიტეტები თემებს, დალუქული პაკეტით, იღებენ სპეციალური ფოსტით ან ამ მიზნით საგანგებოდ შერჩეული პირის საშუალებით,

11. ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს, ოლიმპიადის მონაწილეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

შენიშვნა: ოლიმპიადაზე წერითი სამუშაოები სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

12. სასკოლო, საქალაქო, რაიონული ზონალური და რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეებს ეძლევათ ხუთი შემდეგი ხასიათის თემა: მცირე მოცულობის ან დიდტანიანი ნაწარმოების გარკვეული მონაკვეთის იდეურ-მხატვრული ანალიზი, ამა თუ იმ მწერ-

ლის თხზულების შესახებ არსებულ განსხვავებულ შეხედულებათა მოსწავლისეული მიმოხილვა, შემოქმედებითი ამოცანის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, მოცემულ ენობრივ მასალაზე სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების შექმნა პასუხები მოცემულ კითხვებზე, რომლებშიც უნდა გამოჩნდეს მოსწავლის დამოუკიდებელი მსჯელობის, დასაბუთების, აზროვნების უნარი, კითხვები მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოსწავლის მომზადების გამოსავლინებლად. არჩეული თხზულების შესასრულებლად განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათი.

13 ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გაიწვევს თბილისში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად, რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში გამარჯვებულად ითვლება მოსწავლე, რომლის ნამუშევრები შეფასდება 12, 13, 14, 15 ქულით. წერითი ნამუშევრები 14 და 15 ქულით ჯილდოვდება 1-ლი ხარისხის, ხოლო 12 ან 13 ქულით შეფასებული—II ხარისხის სიგელით.

14. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის ჟიური წინადადებებს ოლიმპიადის დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეების სიგელებით დაჯილდოების, აგრეთვე მოსწავლეთა საუკეთესო თხზულებების მათი გამოქვეყნების შესახებ წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 685—მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში სახელმწიფო სიმბოლოების—ჰიმნის, დროშისა და გერბის როლის გაძლიერების შესახებ 3

2. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებისადმი 8

3. საქართველოს ნორჩ მევენახეთა I რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიმართვა რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი 10

4. დადგენილება—ქ. გურჯაანში ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ 13

5. ბრძანება № 731—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ 14

6. დადგენილება—1975—1977 წლებში საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკის სკოლის გარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ 16

7. ინფორმაცია—1975—1977 წლებში საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ 19

8. დადგენილება—საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1978 წლის კალენდარული გეგმის შესახებ 26

9. ბრძანება № 747—რუსული და უცხოური ენების სწავლების სრულყოფის მიზნით პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ 38

10. ბრძანება № 750—თბილისის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არაბული, სპარსული და თურქული ენების სწავლების შემოღების შესახებ 41

11. ბრძანება № 753—მშობლიურ ლიტერატურაში მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეთერთმეტე ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ 43

8-3 3/21

რედაქტორი ნ. ა. ფოფხაძე
კორექტორი ლ. დოლიძე
ტექრედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად I/II—1978 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,5

შეკ. № 1447 უე—03927 ტირაჟი 5000

საქ სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР
ул. Уш. Чхеидзе 19